



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1233
22/06/2018

ქალაქი ბათუმი

1233-05-4-201806221406



მაგდანა მალაყმაძის - გენდერულ საკითხებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის რეფერენტის წყალტუბოში, სასტუმრო „პლაზა“-ში მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 13 ივნისის №8388-05 მომართვის საფუძველზე ვბრძანებ:

1. მაგდანა მალაყმაძე - გენდერულ საკითხებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის რეფერენტი, მივლინებული იქნეს წყალტუბოში, სასტუმრო „პლაზა“-ში, კავკასიის ალიანსების პროგრამის ფასილიტაციით დაგეგმილ მუნიციპალური „ქალთა ოთახები“-ს გაერთიანებულ შეხვედრა-ვორქშოფში მონაწილეობის მიზნით. 2018 წლის 25 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა